

ჰომილეტური ხასიათის ბერძნულენოვანი ტექსტები პაპირუსებში

ბერძნულენოვანი პაპირუსები

პაპირუსის ხსენებაზე ბევრს მყისიერად თვალწინ ორთვალა ეტლზე მდგომი ლურჯგვირგვინიანი ფარაონი რამზეს II წარმოუდგება. თუმცა პაპირუსების სამყარო არც ეგვიპტით და, მით უმეტეს, არც მხოლოდ ეგვიპტური ენით არ შემოიფარგლება. პაპირუსს იყენებდა მთლიან ხმელთაშუა ზღვისპირეთი მრავალი საუკუნის განმავლობაში. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების შემდეგ ეგვიპტის ადმინისტრაციული ენა ბერძნული გახდა, შესაბამისად, ძვ. წ. IV ს-ის ბოლოდან უხვად მოგვეპოვება ბერძნულენოვანი პაპირუსები. ეგვიპტეში ქრისტიანობის შემოსვლიდან ბერძნულს კოპტურიც დაემატა (ყველაზე ძველი კოპტური პაპირუსი თარიღდება III ს-ით). VII-VIII სს-ებიდან ეგვიპტეში ბერძნულს არაბული ანაცვლებს. რომის საეპისკოპოსო XI ს-მდე იყენებდა პაპირუსს, აღმოსავლეთ რომის იმპერია კი – ცოტა უფრო დიდ ხანს, თუმცა არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო, ჩრდილოეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთიდან ჩვენამდე სულ რამდენიმე ფრაგმენტმა მოაღწია (პომპეისა და ჰერკულანუმს თუ არ მივიღებთ მხედველობაში).

ეგვიპტესა და ახლო აღმოსავლეთში კი, მშრალი ჰავის წყალობით, განადგურებას ათასობით დოკუმენტი, ლიტერატურული თუ პირადი (პარალიტერატურული) ხასიათის ტექსტი გადაურჩა.

დოკუმენტების მრავალფეროვნება იმდენად დიდია (სამეფო და საიმპერატორო დეკრეტები, შობისა და გარდაცვალების, ქორწინებისა და განქორწინების მოწმობები, ანდერძები, საგადასახადო თუ საქონლის შეძენის ან ჩაბარების ქვითრები, უამრავი სახის ყოველწლიური ანგარიშები), რომ ეგვიპტური ყოველდღიური ცხოვრების, ადმინისტრაციული სტრუქტურების, სამართლებრივი და საგადასა-

ხაღო სისტემების თითქმის სრულ სურათს გვიქმნის. ეს ცოდნა, დიდწილად, ზოგადრომაული და ბიზანტიური რეალობის აღდგენასაც უწყობს ხელს.

პირადი და პარალიტერატურული ტექსტები დაგვანახებს კონკრეტული ადამიანის ცხოვრებას ან ადამიანს – როგორც პიროვნებას. ტექსტების ეს ჯგუფი მოიცავს მიმოწერას, სასკოლო სავარჯიშოებს (დაწყებული ანბანით, დამთავრებული ლიტერატურული ნაწყვეტების გადაწერით) და სხვადასხვა სახის ჩანაწერებს (ციტატები, ამონაწერები ნაწარმოებიდან, ჯადოები, წყევლები, წარმართული და ქრისტიანული ამულეტები). ეს ჯგუფი წარმოადგენს ერთგვარ საზღვარს დოკუმენტებსა და ლიტერატურას შორის. გამოცემებში მიმოწერა დოკუმენტების განყოფილებაში შედის, სავარჯიშოები და ჩანაწერები კი – ლიტერატურული ხასიათის ტექსტების განყოფილებაში.

ლიტერატურული ტექსტები მოიცავს წარმართულ და ქრისტიანულ საერო და სასულიერო მწერლობას. შემორჩენილი ნიმუშების რაოდენობა, ძირითადად, მათი პოპულარობის პირდაპირპროპორციულია. ყველაზე მეტი ფრაგმენტი ჰომეროსის თხზულებებს შეიცავს. ტრაგიკოსებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი ევრიპიდეს ფრაგმენტებია. ქრისტიანული მწერლობიდან ძველი და ახალი აღთქმა ქარბობს. ძველი აღთქმიდან, განსაკუთრებით ფსალმუნები. ფსალმუნებიდან 90-ის პირველი მუხლები გამოიყენებოდა ამულეტებად. პატრისტიკიდან წმ. იოანე ოქროპირს უჭირავს პირველი ადგილი.

ლიტერატურული ხასიათის პაპირუსებს განეკუთვნება ჰომილეთური ტექსტებიც. შემდეგ ნაწილში შევეცდებით ოთხი პაპირუსის მაგალითზე მიმოვიხილოთ ეს ჯგუფი და წარმოვადგინოთ, თუ რა სახის დაბრკოლებებს შეიძლება გადააწყდეს მკვლევარი პაპირუსზე მუშაობისას.

ჰომილეთური ტექსტები

განსაზღვრება „ჰომილეთური ხასიათის ტექსტი“ მიზანმიმართულად შეირჩა ერთი მარტივი მიზეზის გამო – თხზულებების უმეტესობა უცნობია, პაპირუსის ფრაგმენტები კი, იმდენად მცირე, რომ შეუძლებელია გადაჭრით ითქვას, ტექსტი ჰომილიაა (ქადაგება), ბიბლიური კომენტარი, თუ განმარტება (ეგზეგეზისი).

ჰომილეთური ტექსტების ჯგუფი შედგება ორმოცდაცამეტი პაპირუსისგან. აქედან მხოლოდ თორმეტი ნაცნობი ტექსტი, ორმოცდაერთი კი – უცნობი.

ნაცნობი ტექსტები

თორმეტ პაპირუსში წარმოდგენილია ექვსი ავტორი – წმ. იოანე ოქროპირი (და ფსევდო-ოქროპირი) (4 ფრაგმენტი), წმ. ბასილი დიდი (2 ფრაგმენტი), წმ. ეფრემ ასური (1 ფრაგმენტი), წმ. მელიტონ სარდელი (3 ფრაგმენტი), ბასილი სელევკიელი ეპ. (1 ფრაგმენტი) და ორიგენე (1 ფრაგმენტი). ცხადია, ამ და სხვა ავტორების შემცველი პაპირუსი ბევრად მეტია – ტრაქტატები, განმარტებები, პოლემიკური თხზულება, წერილები. საყურადღებოა, რომ ქრისტიანული პაპირუსების, დაახლოებით, ორი მესამედი კოპტურია, შესაბამისად, ნაცნობი და უცნობი ჰომილიაც მეტია შემორჩენილი, ვიდრე, ჩვენ მიერ განხილული ბერძნულენოვანი ტექსტები.

ნაცნობი ჰომილიებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი, სიდიდითაც და შინაარსობრივადაც, არის წმ. მელიტონ სარდელის სააღდგომო ქადაგება (Περὶ Πάσχα). სამივე პაპირუსი სწორედ ამ ქადაგებას შეიცავს. ყველაზე მცირე ფრაგმენტი (*P. Oxy. (The Oxyrhynchus Papyri) XIII 1600, Bernard P. Grenfell / Arthur S. Hunt, 1919 წ.*) IV-V სს-ებით თარიღდება და მხოლოდ რამდენიმე პარაგრაფს მოიცავს, დანარჩენი ორი – *P. Bodmer (Papyrus Bodmer, Bibliotheca Bodmeriana) 13 (Michel Testuz, 1960 წ.)* და *P. Beatty (Chester Beatty Biblical Papyri) VIII 12 + P. Mich. (Michigan Papyri) 5553 (Campbell Bonner, The Homily on the Passion by Melito Bishop of Sardis and Some Fragments of the Apocryphal Ezekiel (1940 წ.))* – კი, III ს-ის პირველ ნახევარს მიეკუთვნება და ქადაგების თითქმის სრულ ტექსტს გვაწვდის. ნაცნობი ქადაგებების ჯგუფიდან, ამჯერად, სწორედ ამ ერთზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას.

* * *

საინტერესოა ქადაგების აღმოჩენისა და ავტორის დადგენის ისტორია. ოქსირინქოსული პაპირუსის გამოცემისას არც ავტორის ვინაობა და არც თავად ქადაგება არ იყო ცნობილი. მინის *Patrologia Graeca*-ში ასეთი ქადაგება არ მოიძებნება. საბედნიეროდ, გასული საუკუნის 30-იან და 40-იან წლებში აღმოჩნდა ორი კოდექსი და ორივე შეიცავდა წმ. მელიტონის ქადაგებას. *P. Beatty VIII 12*-ში მხოლოდ ავტორის ვინაობაა მითითებული, რის გამოც კ. ბონნერმა მას „ქადაგება ქრისტეს ვნების შესახებ“ დაარქვა, თუმცა, მოგვიანებით, *P. Bodmer 13*-ის აღმოჩენამ ცხადყო, რომ ეს სააღდგომო ქადაგებაა. ქადაგების ტექსტის ბოლოში მიწერილია – Μελίτωνος Περὶ Πάσχα – მელიტონის (ქადაგება) აღდგომისთვის. როგორც მ. ტესტუზი გვაცნობებს, მოგვიანებით გაირკვა, რომ ამ ქადაგების ნაწყვეტები ადრეც იყო ცნობილი სირიულ ენაზე, წმ. ალექსანდრე ალექსანდრიელის სახელით. ტექსტი

ასევე ცნობილია კოპტურ ტრადიციაში. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ამ ქადაგების ლათინური თარგმანის რამდენიმე ხელნაწერია ცნობილი. უერომ და პიერ ბალერინიების 1753 წლის გამოცემაში მითითებულია, რომ ყველა ხელნაწერი ქადაგებას რომის პაპ წმ. ლეონ I დიდს მი-აწერს, თუმცა გამომცემლებს ეს საეჭვოდ მიაჩნიათ. ქადაგება მინის *Patrologia Latina*-შია შესული. P. Bodmer 13-ის მ. ტესტუზისეულ გამო-ცემაში, რომელიც ქადაგების სრულ ბერძნულ ტექსტს გვთავაზობს, კოდექსში არსებული ლაკუნები, უმეტესწილად, შევსებულია კ. ბონ-ნერისა და მინის გამომცემებიდან.

ქადაგების ავტორის ვინაობის და, მაშასადამე, მისი დაწერის სა-ვარაუდო პერიოდის (II ს-ის ბოლო) დადგენამ, კ. ბონნერს უფლება მისცა, ეთქვა, რომ ეს ქადაგება არის პირველი ქრისტიანული თხზუ-ლება, რომელიც მხატვრულ ხერხებს იყენებს. ასეთებად, მანამდე, ორიგენესა და წმ. იპოლიტე რომაელის ნაშრომები მიიჩნეოდა.

მელიტონის სტილი, მართლაც, ხატოვანი და პოეტურია, თუმცა, არა რთული. იგი იყენებს ხერხებს, როგორებიცაა – ხშირი გამეორე-ბა, პირველი და მესამე პირის მონაცვლეობა, ფრაზების გართმული ბოლოები.

ქადაგების აგებულებაც მარტივია. ერთი მხრივ, ავტორი ჯერ ყვე-ბა ეგვიპტიდან ებრაელი ერის გამოსვლის ამბავს და შემდეგ აღწერს მაცხოვრის ვნებასა და აღდგომას, მეორე მხრივ კი, თავიდანვე უპი-რისპირებს ამ ორ მოვლენას ერთმანეთს და ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ ძველი აღთქმის გამოსვლა, მხოლოდ წინასახე იყო ქრის-ტეს ვნებითა და აღდგომით კაცობრიობის გამოხსნისა, ანუ ცოდვის მონობიდან გამოყვანისა.

ქადაგება ძალიან ემოციურია, განსაკუთრებით ბოლოსკენ, რო-დესაც მაცხოვრის ვნებას აღწერს ავტორი. თუმცა არანაკლები სიძ-ლიერის არის ეგვიპტის სასჯელების აღწერა. ყველაზე განსაკუთრე-ბული კი, ცხადია, პირველშობილთა ამოხოცვის სასჯელია, რომლის მელიტონისეული აღწერაც მოგვყავს მაგალითად:

„შესამჩნევ სიბნელეში შეუმჩნეველი
სიკვდილი იმალებოდა. უბედური
ეგვიპტელები სიბნელეში ბრმად
დახეტილობდნენ, სიკვდილი კი
დაიარებოდა და პირველშობილებს
ექებდა, ანგელოზის ბრძანებით.
რომელიმე მათგანი
(პირველშობილთაგანი) თუ შეაბიჯებდა
სიბნელეში, მას სიკვდილი ჩაითრევდა.
ერთმა პირველშობილმა ბნელ სხეულს

ჩაავლო ხელი, სული შეუძრწუნდა და შეშინებულმა საბრალოდ ამოიკვნესა: „ვის შეეხო ჩემი ხელი? ვის წინაშე კანკალებს ჩემი სული? ვინ შებურა ჩემი ტანი სიბნელით? თუ მამაჩემი ხარ, დამენმარე; თუ დედაჩემი ხარ, მანუგეშე; თუ ჩემი ძმა ხარ, დამელაპარაკე; თუ მეგობარი ხარ, მომიჯეცი; თუკი მტერი ხარ, მომშორდი, რადგან მე პირველშობილი ვარ!“ მაგრამ სანამ პირველშობილმა სიტყვის დამთავრება მოასწრო, სამარისებურმა სიჩუმემ შეაწყვეტინა თავისი პასუხით: “მე ვარ პირველშობილი კანონი; შენი ბედისწერა ვარ, სიკვდილის სიჩუმე.“

წმ. მელიტონ სარდელი, სააღდგომო ქადაგება § 23-25 (თარგმანი – ა.ნ)

უცნობი ტექსტები

უცნობი ტექსტი, როგორც აღვნიშნეთ, არის ორმოცდაერთი. აქედან, ხუთზე არსებობდა ეჭვი, რომ ისინი ორიგენეს უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა თანამედროვე მეცნიერები (მაგ.: რ. იუენ-კოლინგრიჯი, ლ. ჰ. ბლუმელი, თ. ა. უეიმენტი) ცდილობენ, თავი შეიკავონ მსგავსი მტკიცებებისგან. ალბათ ყველაზე უსაფრთხო იქნება განსაზღვრება – „ქადაგება ორიგენეს სტილში“. მომდევნო მაგალითებში, ამ ხუთი პაპირუსიდან არც ერთი არ შედის, ამიტომ, ორიგენეს საკითხს აღარ განვაგრძობთ.

ორმოცდაერთი ფრაგმენტი მოიცავს, დაახლოებით, ექვს საუკუნეს. ყველაზე ძველი პაპირუსი დათარიღებულია II/III სს-ებით (თუმცა, მეცნიერთა უმეტესობა სკეპტიკურად არის განწყობილი ასეთი ადრინდელი დათარიღების მიმართ), ყველაზე გვიანდელი კი – VII/VIII სს-ებით. ფრაგმენტები განსხვავდება ზომითა და შენახვის ხარისხით, თავად ნაწერები კი განსხვავდება როგორც გარეგნულად, ისე შინაარსობრივად, კალიგრაფიის ტიპებით, ორთოგრაფიული თუ სინტაქსური შეცდომებით, ასევე, დიალექტური ფორმებით. როგორც ვთქვით, დაზუსტებით ვერ ვიტყვით, ეს ფრაგმენტები ქადაგებებია, თუ არა და ამიტომ ჰომილეტური ხასიათის ტექსტებს ვუწოდებთ მათ, თუმცა სი-

მარტივისთვის, უბრალოდ „ჰომილიის“ თუ „ქადაგების“ ხმარებას არ ვერიდებით.

თემატიკაც მრავალფეროვანია. დიდი ნაწილი ნათლობას ეხება, თუმცა ძირითადად, შეუძლებელია დადგენა, ავტორი მაცხოვრის ნათლისღებაზე საუბრობს, თუ ზოგადად ნათლობის მნიშვნელობას განუმარტავს კათაკმეველებს. მეორე დიდ ნაწილს შეადგენს ფრაგმენტები, სადაც მხოლოდ საღვთო წერილიდან ციტატა და მისი განმარტების მცირე ნაწილია შემორჩენილი. სწორედ ამ ჯგუფის პაპირუსების ერთ უანრობრივ ჩარჩოში ჩასმაა ყველაზე რთული, შეუძლებელიც კი. რიცხობრივად უფრო მეტი ციტატა ახალი აღთქმიდანაა. ციტატების არსებობა ხელშემწყობია თემატიკის განსაზღვრებაში, თუმცა დარწმუნებით ვერ ვიტყვით, ავტორმა მთელი ნაწარმოები ამ თემას მიუძღვნა, თუ ეს ციტატა მხოლოდ სხვა საკითხის განმარტებისთვის დასჭირდა და ჩვენამდე მხოლოდ იმ ერთმა ნაწყვეტმა მოაღწია. პაპირუსების მცირე ჯგუფი ცოდვაზე, უფრო ზუსტად, ადამიანის სულზე და მის მდგომარეობაზე ლაპარაკობს. ორიოდ ტექსტი „ბოლო ჟამს“ და ანტიქრისტეს ახსენებს.

ჩვენი მიმოხილვის მეორე მაგალითი სწორედ ეს უკანასკნელი პაპირუსია.

* * *

VII-VIII სს-ების პაპირუსი *MPER N. S. (Mitteilungen aus der Papyrus-sammlung der österreichischen Nationalbibliothek in Wien, Neue Serie) XVII 68* (ინვენტარის ნომერი – P. Vindob. G. 26117) გამოიცა კურტ ტროისა და იოჰანეს დიტჰარტის მიერ 1993 წ., პ. სანცის 1936 წ. დისარტაციაში მოცემულ ტექსტზე დაყრდნობით. პაპირუსზე შემორჩენილი ტექსტის დაყოფა ორ ნაწილად შეიძლება – სტრიქონები 1-15 და 17-19. მე-16 სტრიქონი, ერთი შეხედვით (თარგმანში ეს ნათლადაა წარმოდგენილი), გამყოფს წარმოადგენს თავისი საინტერესო შინაარსით. ამან გამოცემლებს საშუალება მისცა, ბოლო სტრიქონები ცალკე ტექსტად აღექვათ და ქადაგებად მხოლოდ პირველი თხუთმეტი სტრიქონი მიეჩნიათ. რატომღაც, ტროისა და დიტჰარტს არ უცდიათ, გადაემოწმებინათ, შემთხვევით ტექსტი ნაცნობი ხომ არ არის (სანცის შემთხვევაში ეს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ მისი მოღვაწეობის პერიოდს).

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას აღმოვაჩინეთ, რომ ტექსტი არც თუ ისე უცნობია, უფრო სწორად, რომ ის წარმოადგენს ნაცნობი ტექსტის პერიფრაზს. აღსანიშნავია, რომ აღმოჩენას სწორედ იმ ბოლო სამ სტრიქონს ვუმაღლით, რომელიც, ასე ვთქვათ, „მაშენებელთა შეურაცხ-ჰყვეს“.

ნაწარმოები, რომლის ნაწყვეტის პერიფრაზსაც წარმოადგენს ჩვენი პაპირუსი, არის წმ. კირილე ალექსანდრიელის *De adoratione et cultu in spiritu et veritate* („სულითა და ჭეშმარიტებით თაყვანისცემის შესახებ“). ეს არის წმ. კირილეს ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ნაწარმოები, ცამეტწიგნიანი დიალოგი. დიალოგი დაწერილია პლატონის სტილში – მოდის ვინმე პალადიოსი, რომელიც წმ. კირილეს ეკითხება, გააუქმა თუ არა ქრისტემ მოსეს სჯული. წმ. კირილე კი, დეტალურად უხსნის მას მოსეს ხუთწიგნეულს და უჩვენებს, რომ ებრაული ერის ისტორია და მოსეს სჯული წინასახე და წინსწარმეტყველებაა იმისა, რაც უნდა მოხდეს მაცხოვრის განკაცების დროს. დიალოგის სახელწოდება კი თავად ქრისტეს სიტყვებია, რომელიც ჭასთან მჯდარ სამართელ დედაკაცს ეუბნება: „რამეთუ მოვალს ჟამი, ოდეს არცა ამას მთასა, არცა იერუსალჴმს თაყუანის-სცემდეთ მამასა. ...არამედ მოვალს ჟამი, და აწვე არს, ოდეს ჭეშმარიტნი თაყუანის-მცემელნი თაყუანის-სცემდენ მამასა სულითა და ჭეშმარიტებითა“ (ინ. 4:21-23). VIII წიგნში, რომელიც მოძმისადმი სიყვარულს ეძღვნება, არის ერთი ნაწყვეტი, წმ. კირილეს პასუხი პალადიოსის მორიგ კითხვაზე, სადაც წმ. კირილე ანტიქრისტეს ახსენებს (PG 68, გვ. 576 სტრ. 43 – გვ. 577 სტრ. 8). სწორედ ამ ნაწყვეტის პერიფრაზი გახლავთ ჩვენი პაპირუსი:

- 1-7 „...მათ არ მიიღეს ის (ძე-ღმერთი), რომელიც მისგან (მამა-ღმერთისგან) ჩამოვიდა, არამედ (ნაცვლად ამისა) მიიღეს უცხო ადამიანი, ძმ იგი წარწყმედისაჲ, უცხოელი და სხვა წარმომავლობის მქონე, ანტიქრისტე, რომელი არა არს სისხლისაგან ისრაელისა.
- 8-15 როგორც სჯული ამბობს: „არა იდგინო შენ სხუად“ (რჯლ. 17:15). და უფალიც თავად ეუბნება მათ: „მე მოვედ სახელითა მამისა ჩემისაჲთა, და არა შემიწყნარებთ. უკუეთუ სხუად მოვიდეს სახელითა თვისითა, იგი შეიწყნაროთ“ (ინ. 5:43).
- 16 როგორც ვგალობთ: ჭ ამინ.
- 17-19 რადგან მოვალს მას ჟამსა შინა ძმ იგი ურჯულოებისაჲ და საკუთარ თავზე დაიდგამს საღვთო სახელს...“

პაპირუსი P. Vindob. G. 26117 (თარგმანი – ა.ნ.)

1-15 და 17-19 სტრიქონების შინაარსი წმ. კირილე ალექსანდრიელის პასუხის შინაარსის იდენტურია, თუმცა ტექსტების შედარებისას ცხადია, რომ საქმე პერიფრაზის გამოყენებასთან გვაქვს. მე-16 სტრიქონი არის ერთგვარი მტკიცებულება იმისა, რომ არსებობს ვი-

ლაც, ვინც იყენებს წმ. კირილეს ტექსტს (წმ. კირილესთან ამ ადგილას წერია – „რამეთუ სუფევდა ქრისტე მამა-ღმერთის დიდებაში“). ამავდროულად, ეს სტრიქონი ბადებს კითხვებს – რა გალობას გულისხმობს ავტორი? ნუთუ არსებობს ისეთი გალობა, რომლის ჩანიშვნა მხოლოდ სტავროგრამით (ჯვრის ფორმის ბერძნული ასო Ϟ – ქრისმონის (✝) ნაირსახეობა) გამოყენებით შეიძლება? ან, რა მიზნითაა სტავროგრამი გამოყენებული? შეიძლება თუ არა სტავროგრამი მივუსადაგოთ წმ. კირილეს იმ სიტყვებს, რომლის ადგილსაც იკავებს ეს სტრიქონი? კითხვებზე პასუხი ამ ეტაპზე შეუძლებელია. საჭიროა ანალოგების მოძებნა და, თუ ასეთები არსებობს, მათ შედარებაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა.

* * *

როგორც ვახსენეთ, პაპირუსების უმეტესობა მცირე ზომისაა, რვიდან თხუთმეტ სტრიქონამდე. თუმცა, ხშირად პატარა, ოღონდ, ლაკუნების არმქონე პაპირუსს შეუძლია, უფრო მეტი შინაარსი და იტიოს, ვიდრე ათი ნახევარსტრიქონის შემცველმა ფრაგმენტმა. ჩვენს მესამე მაგალითს, სწორედ ამ – მცირე ფრაგმენტების კატეგორიიდან მოვიყვანთ. ის ტექსტების ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს მიეკუთვნება, ანუ ნათლობასთანაა დაკავშირებული.

* * *

პაპირუსი *PSI (Papiri della Società Italiana) I 54* (ინვენტარის ნომერი – BML (Biblioteca Medicea Laurenziana) inv. 17996) გამოცემულია მედეა ნორსას მიერ 1912 წელს. იგი V ს-ისაა. სამწუხაროდ, ხელი არ მიგვიწვდება მარხო ნალდინის 1965 წ. გამოცემაზე, ამიტომ მხოლოდ პირველ გამოცემას ვეყრდნობით. პაპირუსი შეიცავს ჰომილეთური ხასიათის ტექსტის ბოლო ექვს სტრიქონს. ის, რომ ეს არის ტექსტის ბოლო, უდავოა, რადგან ბოლო სტრიქონში ტექსტის ბოლოს ჯვარია დასმული.

ნაწერის გარეგნული მხარეც უჩვეულოა. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც, სავარაუდოდ, მქადაგებლის, ასე ვთქვათ, სამუშაო ჩანაწერთან გვაქვს საქმე. სიტყვებს შორის შეიმჩნევა მანძილები (რაც ანტიკურობისთვის და ადრე შუასაუკუნეებისთვის არაბუნებრივია), პირველი წინადადების ბოლოს დიაგონალური ხაზია გასმული (სასვენ ნიშნად მაღალი წერტილი გამოიყენებოდა), თითქმის ყველა სიტყვას მითითებული აქვს მახვილი, ზოგან არასწორად (მახვილი არც კოდექსებში და არც დოკუმენტებში არ ფიგურირებს, მხოლოდ პირადი სახის ჩანაწერებში და სასკოლო სავარჯიშოებში).

გარდა შინაარსისა, ტექსტი ენობრივადაც საინტერესოა, რაზეც მოგვიანებით გვექნება საუბარი. ნორსას გამოცემაში მითითებულია,

რომ პირველი ოთხი სტრიქონი არასრულადაა შემორჩენილი. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ტექსტი სრულია. უკეთესად რომ წარმოვადგინოთ, ჯერ თარგმანს შემოგთავაზებთ:

„[...და დაასვა] ერთი და იგივე ბეჭედი ყველა ერს. და საკუთარი ნებით აკურთხა წყალი მონათლულთათვის, რათა (მათ) შეძლებოდათ გამხდარიყვნენ ყოვლის შემქმნელი ღმერთის შვილები. †“

პაპირუსი BML inv. 17996 (თარგმანი – ა.ნ.)

ვფიქრობთ, შინაარსი კომენტარს არ საჭიროებს, მკითხველისთვის კი ალბათ გაუგებარია, როგორ შეიძლებოდა, ასეთი ტექსტი ადამიანს არასრულად მოჩვენებოდა. საქმე ისაა, რომ ბერძნული ენის ფონეტიკა საუკუნეების მანძილზე (რეგიონების მიხედვით, უფრო სწრაფად, ან უფრო ნელა) იცვლებოდა. ფონეტიკური ცვლილებების ორი ყველაზე გავრცელებული ნიმუშია გრძელი ხმოვნების დაკარგვა და იტაციაზმი – მოვლენა, რომლის შედეგად ხუთმა ფონეტიკურმა ერთეულმა: ι (ი)-მ, η (გრძელი 'ე')-მ, ει (ეი)-მ, υ (უ)-მ და οι (ოი)-მ ერთი და იგივე ჟღერადობა შეიძინა. ეს პროცესი წელთაღრიცხვების მიჯნაზე დაიწყო და მალევე გავრცელდა თითქმის მთელ ბერძნულენოვან სამყაროში. V ს-ისთვის უკვე ხუთივე ფონემა იკითხებოდა როგორც „ი“:

სწორედ ეს ორი მოვლენა გახდა მიზეზი იმისა, რომ მ. ნორსას პირველი ოთხი სტრიქონი დაუსრულებლად მიაჩნდა. ბერძნული ენა არტიკლების არამარტივ სისტემას იყენებს. მას ასევე გააჩნია სამი სქესი, რომლის მიხედვითაც სახეს იცვლის არტიკლებიც. ჩვენს პაპირუსში პირველი სტრიქონის ბოლოს დგას მხოლოდითი რიცხვის მდებრობითი სქესის ნათესაობითი ბრუნვის არტიკლი, მეორე სტრიქონის პირველი ორი სიტყვა („ყველა ერი“) კი მამრობითი სქესის მრავლობითი რიცხვის მიცემით ბრუნვაში დგას. ცხადია, ეს ორი ერთეული ერთმანეთს ვერაფრით შეეწყობა, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქრისტიანულ ხანაში, მხ.რ. მდ. ნათესაობითის არტიკლი τῶν (ტეეს) და მრ.რ. მმ. მიცემითის არტიკლი τοῖς (ტოის) ერთნაირად იკითხებოდა, როგორც – „ტის“: იგივე სიტუაციაა მე-4 და მე-5 სტრიქონებში სადაც ჯერ „მონათლული“ – ა ნახსენები მხ.რ. მდ. ნათესაობითში, შემდეგ კი „ღვთის შვილები“ მრ.რ. მმ. სახელობითში. აქ ნათესაობითში მდგარი „მონათლული ქალის“ მაგივრად, „მონათლულები“ უნდა წავიკითხოთ მრ. რ. მმ. მიცემითში და ასე, რიცხვში შეეწყობა ერთმანეთს ორივე ფრაზის ობიექტი (მონათლულები) და წინადადებაც გაიმართება. ტექსტში არის ხმოვნის სიგრძის დაკარგვის მაგალითებიც. ნაკლებად მნიშვნელოვანია მე-5 სტრიქონში, სადაც, უბრალოდ, შუა სიტყვაში

ომეგას (გრძელი „ო“) მაგივრად ომიკრონია (მოკლე „ო“) გამოყენებული; მეტად მნიშვნელოვანი კი, მე-2 და მე-3 სტრიქონების მიჯნაზეა, სადაც ერთი სტრიქონის ბოლოს წერია მამრობითი ან საშუალო სქესის არტიკლი (იგივეა) მხ.რ. მიცემითში, შემდეგი სტრიქონის პირველი სიტყვა კი, მოცემულია საშუალო სქესის მხ.რ. სახელობითში („წყალი“). აქ „ო“-ების გადანაცვლება პირიქით მოხდა, უნდა ყოფილიყო τი („ტი“ ომიკრონით) და წერია – τω („ტო“ ომეგათი). გარდა ფონეტიკური მოვლენების ისტორიისა, ეს შეცდომები იმაზეც მიგვითითებს, რომ ავტორმა ბერძნული სალაპარაკო ენა კარგად იცოდა, წერა კი – არც თუ ისე.

* * *

ციტატების შემცველი, მაგრამ, შინაარსით არაგამორჩეული პაპირუსების ჯგუფის წარმოდგენა ერთი მაგალითით ვერ მოხერხდება, ამიტომ მხოლოდ ვიტყვით, რომ ციტატები გვხვდება დაბადების წიგნიდან, გამოსვლათა წიგნიდან, დანიელ წინასწარმეტყველიდან, ესაია წინასწარმეტყველიდან, ოთხივე სახარებიდან, საქმე მოციქულთაგან, რამდენიმე კათოლიკე ეპისტოლეგან, წმ. მოციქულ პავლეს არაერთი ეპისტოლეგან. გამოცხადებიდან ციტატები არ გვაქვს.

ჰომილეტური ტექსტების შემცველი პაპირუსების ბოლო ჯგუფი, ე.წ. „სხვადასხვა“, შეიცავს ტექსტებს, რომლებიც არც ნათლობაზე საუბრობენ, არც ანტიქრისტიანულ და არც სრულ ციტატას შეიცავენ (თუმცა, ცხადია, სინამდვილეში, შეიძლება, ისინი რაღაც ციტატის განმარტებასაც წარმოადგენდნენ, უბრალოდ, ციტატა აღარაა შემორჩენილი). ასეთი ტექსტები, ძირითადად, ადამიანის სულზე, მის გამოკვებაზე, მოვლაზე, სილამაზეზე ან სიმახინჯეზე ლაპარაკობენ, ან, სულაც, სულიერ ბრძოლაზე. ჩვენი მეოთხე, ბოლო მაგალითიც ამ ჯგუფის პაპირუსებში შედის.

* * *

ჯიროლამო ვიტელის მიერ 1925 წ. გამოცემული პაპირუსი PSI VII 759 (ინვენტარის ნომერი – BML inv. 18688) V-VI სს-ებით თარიღდება. იგი ჩვენი კორპუსის საშუალოზე დიდი ფრაგმენტების რიცხვს მიეკუთვნება. პაპირუსი შეიცავს სამ ტექსტს, ერთ მხარეს ჩაწერილია აშკარად ჰომილეტური ხასიათის ტექსტი, მეორე მხარეს კი, წაშლილია, სავარაუდოდ, კოპტური ტექსტის ორი სტრიქონი და ქვეშ ბერძნულად მიწერილია 90-ე ფსალმუნის პირველი ოთხი მუხლი. ფსალმუნის ჩამწერის ხელი ცალსახად განსხვავდება ჰომილიის ჩამწერისგან (ან გადამწერისგან), ამიტომ პაპირუსის უკანა მხარე არც მიიჩნევა წინა მხარეს არსებული ტექსტის ნაწილად. თავისი ფორმით, პაპირუსი

სი არ ჰგავს ამულეტს, თუმცა ვერ გამოვრიცხავთ, რომ ვილაცამ უბრალოდ დაკეცა ერთხელ გამოყენებული ფურცლის ნაგლეჯი და ის ამულეტად გამოიყენა.

თავად ქადაგება, გვასწავლის, რომ გარეგნული ქმედებები უაზრო და უშედეგოა, თუ მათ შესაბამის სულიერ ნაბიჯებს არ გადავდგამთ:

„...[უნდა მოვერიდოთ ჩვენი] თვითშეზღუდვის (ღვაწლსა) და წვრთნის (ასკეზის) [შესახებ ლაპარაკს] ამასთან თუ იმასთან (სხვებთან) [და ტრაზახს,] ესაო და ისაო. რადგან, თუკი განვეშორებით ჩვენს საცხოვრებელ ტყეს (გარემოს), მაგრამ არ განვეშორებით სიამოვნების ტყეს, არავითარ სარგებელს არ მოგვიტანს უსულო საგნების, ქონების მიტოვება, სულის განწმენდის გარეშე. თუკი მივატოვეთ ხორციელი მამა და არ განვაგდეთ უსჯულოების მამა, ჯერ კიდევ არ ვართ ღვთის შვილები. თუკი მივატოვეთ დედა და არ მივატოვეთ ცოდვა, რომლის მეშვეობითაც ვიშვებით და ვშობთ – ნათქვამია: „მუცლად-ილო საღმობად და შვა უსჯულოებად“ (ფსალ. 7:15) – ჯერ კიდევ არ ვართ [ზეციური] სამეფოს წულები. თუკი დავუტევთ ძმები და დები და არ ...“

პაპირუსი BML inv. 18688 (თარგმანი – ა.ნ.)

სამწუხაროდ, პაპირუსის ფრაგმენტი ასეთ საინტერესო ადგილას მთავრდება. ძმები და დები, ჩვენი აზრით, ავტორს მანკიერი ჩვევებისთვის უნდა შეეძარებიან. ეს ტექსტი ციტატის შემცველ ტექსტებში არ გავიყვანეთ, რადგან იგი არ წარმოადგენს ფსალმუნის მუხლის განმარტებას, თანაც, მუხლის ნაწყვეტი კონტექსტიდანაა ამოღებული. თხზულება შეიძლება იყოს მათეს სახარების განმარტება, ან ასკეტური შინაარსის ჰომილია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტი, აშკარად, მათეს სახარების შემდეგი მუხლის განმარტებაა: „და ყოველმან, რომელმან დაუტევა სახლი გინა ძმანი ანუ დანი ანუ მამად ანუ დედად ანუ ცოლი ანუ შვილნი ანუ აგარაკნი სახელისა ჩემისათვის, ას წილად მიიღოს და ცხორებად საუკუნოდ დაიკვდროს“ (მთ. 19:29).

* * *

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში, ჰომილეტურ ტექსტებზე მუშაობისას, ძირითადი ყურადღება სწორედ უცნობ ტექსტებზე გავამახვილეთ. როდესაც ტექსტი ნაცნობია, პაპირუსის ფრაგმენტი კი – მცირე, მკვლევარს არ ეძლევა საინტერესო კომენტარის გაკე-

თების საშუალება. ნაცნობ ტექსტს, მით უმეტეს ისეთს, როგორცაა წმ. იოანე ოქროპირის ქადაგება, მკითხველი ინტერნეტშიც მარტივად მიაგნებს მისთვის გასაგებ ენაზე. როდესაც, ვთქვათ, პაპირუსის სამი-ოთხი ფურცელია გადარჩენილი, მაშინ სამუშაო უფრო საინტერესოა – შეიძლება შეცდომებზე, დიალექტიზმებზე, ტექსტუალური ტრადიციის დროში ცვალებადობაზე დაკვირვება. თუმცა წმ. მელიტონის ქადაგების გარდა, რომელიც, ისედაც, უკვე თავიდან კოჭებამდე გამოკვლეულია, ყველა სხვა ნაცნობი ტექსტის ფრაგმენტი მცირეა.

უცნობი ტექსტები, თავისი სიმცირის მიუხედავად, გზას უხსნის ბევრნაირ კვლევას. ტექსტის კვლევა იწყება პალეოგრაფიული დაკვირვების მეშვეობით თარიღის დადგენით. ამას მოსდევს ფონეტიკური და ლექსიკური ანალიზი. დაბოლოს, ტექსტოლოგიური ანალიზი. ტექსტოლოგიური ანალიზი მოიცავს, პირველ რიგში, ნაცნობი ციტატების მოძებნას. ასეთის აღმოჩენის შემთხვევაში, ხდება მისი შედარება ბიბლიის აკადემიურ გამოცემასთან. ასეთი კვლევა ბიბლიური ხელნაწერების ტრადიციას ავსებს. შეიძლება გამოიკვლიოს თავად ციტატის გამოყენების ისტორია და თემატური წრე. თუ ციტატა არ გვაქვს, შეიძლება პაპირუსის შინაარსობრივი შედარება მსგავსი თემატიკის ნაცნობ ტექსტებთან. სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში, ყველა ამ ტიპის ანალიზის ჩატარება მხოლოდ ნაწილობრივია შესაძლებელი. ათასებთან შედარებით, ორმოცდაერთი მცირე რიცხვია, თუმცა, თავისთავად, ერთწლიანი კვლევისთვის, საკმარისზე მეტი. მიუხედავად ამისა, დიდი იმედი გვაქვს, რომ ჰომილეთური ტექსტის შემცველი მრავალი პაპირუსი ჯერ კიდევ ელის აღმოჩენას, არაერთი კი – ხელახლა „აღმოჩენას“ ყუთებით გატენილ მუზეუმებისა და კოლექციების საცავებში გადაადებული.